

მაია კიკვაძე

ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ბათუმი
maia.kikvadze@bsu.edu.ge

საკვანძო სიტყვები: დიალექტი, მეტყველება, ტერმინი, მნიშვნელობა, აღწერა, შედარება.

რამდენიმე ტერმინი ტაოს ქართულიდან

თურქეთის საზღვრებში მოქცეული ქართული პროვინციების შესწავლა ყოველთვის იყო და დღემდე რჩება სხვადასხვა მიმართულების მკვლევართა ინტერესის სფერო. თურქეთში მცხოვრებ ძირძველ თუ მუჰაჯირ ქართველთა შთამომავლების მეტყველების შესწავლას კი ამ ბოლო პერიოდში განსაკუთრებული ყურადღება ენიჭება, რაც დადასტურებულია ლინგვისტიკური კვლევებით. ამ საქმეში მეტად მნიშვნელოვანია ბათუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ქართველოლოგიის ცენტრის როლი, კერძოდ, სამეცნიერო პროექტების ფარგლებში ცენტრის ორგანიზებით მოწყობილი არაერთი სამეცნიერო-კვლევითი ექსპედიციის მიერ ჩაწერილი და გაანალიზებული მასალები, რომელთა საფუძველზეც შეიქმნა მონოგრაფიები: „შავშეთი“ (2011 წ.), „კლარჯეთი“ (2016 წ.), „ტაო“ (2020 წ.).

პროფესორი მ. ფაღვა შავშეთს, კლარჯეთსა და ტაოს, სპერთან და აჭარასთან ერთად, ჭოროხის აუზის ქვეყნებად ასახელებს. „ჭოროხის აუზი ერთიანი კულტურული სივრცეა, სადაც ისტორიულად ჩამოყალიბდა რამდენიმე ქართული ქვეყანა – სპერი, ტაო, შავშეთი, კლარჯეთი, აჭარა...“ (ფაღვა, 2011:6). „ჭოროხის აუზი და მტკვრის ზემო წელი საქართველოს ისტორიაში ცნობილი იყო ტაო-კლარჯეთად“ (ექვთ. თაყაიშვილი, 1991:197) – დამოწმ. ფაღვა, შავშეთი, 2011:8).

ყურადღებას იქცევს ტერმინი *ქვეყანა*, რომელიც ქართულ ისტორიულ წყაროებში არაერთხელაა დადასტურებული. შდრ. „ქართლის ცხოვრება“: „მოვიდა ... ანდრია ქალაქად ტრაპიზონად, რომელ არს სოფელი მეგრელთა, სადა-იგი დაჰყო ჟამი მცირედი, და იხილა უგუნურება პირუტყუებრივი მკვდრთა შორის მის ქალაქისათა, განვიდა მიერ და შევიდა ქუეყანასა ქართლისასა, რომელსა დიდ-აჭარა ეწოდების... „ანდრია პირველწოდებული პირველად ლაზეთში, „ქვე-

ყანასა მეგრელთასა“, შემოვიდა“ (<https://www.georoyal.ge/?MTID=5&TID=64&id=513>).

საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპოდენტმა დავით ხახუტაიშვილმა *ქობულეთის „ქვეყნის“* შესწავლას სპეციალური გამოკვლევა მიუძღვნა. „ქობულეთის ქვეყანა“ (ისტორიულ-არქეოლოგიური გამოკვლევა) – ასე ჰქვია რეზო ტაკიძის არქეოლოგიის დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად წარმოდგენილ სადისერტაციო ნაშრომს.

ჭოროხის აუზის ქართული მოსახლეობის დღევანდელ მეტყველებაზე დაკვირვება და ანალიზი ადასტურებს იმას, რომ აქაურთა ცხოვრების წესი, ტრადიციები, საოჯახო თუ სამეურნეო საქმიანობა და მათი ამსახველი ლექსიკა ერთიანი ქართული კულტურულ-ისტორიული სივრცის განუყოფელი ნაწილია.

ჭოროხის აუზის „ქვეყნებიდან“ (იმერხევი, კლარჯეთი, შავშეთი, ტაო) განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევს ტაოს ქართული და მასში შენახული უძველესი სიტყვა-ფორმები, ტერმინები. მხედველობაში გვაქვს ტაოს მექართულე სოფლების მეტყველების ნიმუშები, რომლებსაც წლების განმავლობაში იწერდნენ პროფესორები: შუშანა ფუტყარაძე, ტარიელ ფუტყარაძე, ბათუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის ქართველოლოგიის ცენტრის, ნიკო ბერძენიშვილის კვლევითი ინსტიტუტის, ქუთაისის უნივერსიტეტის დიალექტოლოგიის ინსტიტუტის მკვლევართა ჯგუფები.

„ტაოური დიალექტის“ თავისებურებებზე ყურადღება გაამახვილა ჯერ კიდევ გიორგი ყაზბეგმა. მისი თქმით, „განსაკუთრებული კილოთი და ჩქარი მეტყველებით აქაურ მცხოვრებთა მეტყველება თავისებურია, იგი საქართველოს არცერთი კუთხის მეტყველებას არ ჰგავს“ (ტაო, 2020:514).

ჩვენი მოხსენებისთვის საანალიზოდ გამოვიყენეთ ბათუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის ქართველოლოგიის ცენტრის მონოგრაფია „ტაო“ (2020). აქ დადასტურებულ ტერმინებს ვუდარებთ ქართული ენის დიალექტებისა და სამხრული კილოების მეტყველების ნიმუშებს (მასალებს).

მესაქონლეობა, მიწათმოქმედება, მეფუტკრეობა, მეთევზეობა – ეს ის დარგებია, რომლებსაც ოდითგანვე მისდევდა (და დღესაც ასეა) ტაოს მექართულე სოფლების მოსახლეობა.

დასახელებული დარგებიდან ჩვენს ყურადღებას იპყრობს რამდენიმე ტერმინი.

კოდი-1: გურგვალის დახიზრებული ხისგან გამოიჭრება(ხევეცი); ამას კოდი უძახიან, ფუტკრებ ვავსებთ (ქუაბაგი); შდრ.: ქხელა-გეჯა; როგო. ტაოში *კოდი გურგვალის* – საფუტკრე სახლი, განსხვავდება ერთმანეთისაგან ფორმის მიხედვით.

კოდი-2: ხის ჭურჭელი, საწყაო. სხვადასხვა კუთხეში სხვადასხვა ზომა იცინან: ეს *კოდია* (ქუაბაგი) (ტაო, 2020:1140).

როგორც ვხედავთ, *კოდი* ტაოში სხვადასხვა მნიშვნელობით გამოიყენება, ერთი მნიშვნელობა მეფუტკრეობას უკავშირდება. „მეფუტკრეობას, როგორც დამხმარე სამეურნეო ტრადიციულ დარგს, ტაოელთა ყოფაში განსაკუთრებულად გამორჩეული ადგილი ეჭირა... თავლი დღესაც უპირატესობით სარგებლობს, იგი არა მხოლოდ ცალკეული ოჯახის ნატურალურ მეურნეობას უზრუნველყოფდა, არამედ სავაჭრო მიზნითაც გამოიყენებოდა და სახლეულთა ეკონომიკურ კეთილდღეობას ემსახურებოდა... ფუტკარი ტაოელებს ფუტკრის სახლში – „საფუტკრეებში“ ჰყავდათ მოთავსებული, რომელთაც *კოდი* ერქვა... კოდი პატარა ზომისა იყო და ძირითადად კატარის ჯიშის ხისაგან მზადდებოდა მაშინ, როცა მრგვალი როგო, ე.წ. გურგვალის ფელამურის ხის – „ფელამურის შეშისა“ იყო... მრგვალი ფორმის სკას *გურგვალის* ერქვა, ოთხკუთხედი მოყვანილობისას კი – *კოდი*“ (ტაო, 2020: 310-311). სავაჭროდ გამზადებული ფუტკრის პროდუქცია კოდით იზომებოდა. მკვლევარი ნუგზარ მგელაძე აქვე იმოწმებს თედო სახოკიას, რომლის მიხედვითაც, აჭარაში *კოდი* მიწის საზომსაც ერქვა და თექვსმეტ ოთხკუთხა მხარს უდრიდა. ხის კასრის მსგავსი *კოდი* უფრო გვიან სიმინდის საწყაოდაც გამოიყენებოდა. იგი ძირითადად ნაძვის ხისგან მზადდებოდა (ტაო:311).

შუშანა ფუტკარაძის „ჩვენებურების ქართულში“ *კოდი* ასეა განმარტებული: 1. ხის ჭურჭელი, საწყაო, 2. წისქვილის ნაწილი. „რვა ყაბალი არი ერთი *კოდი*“ (ინეგ.); „*კოდში* სიმინდი მაქ ჩაყრილი“; „ამ წისქვილის *კოდი* ჩემი გაკეთებულია“ (იმერხ.); „დათვმა ირმი *კოდი* ფათათესი შეჭამა“ (შავშ.იმერხ.).

შავშურში *კოდს* განსხვავებული მნიშვნელობაც აქვს. იგი ხის ტყავისაგან დამზადებული ჭურჭელია, იყენებენ სარწყავად: „ხის ტყავიდან რომ გააკეთებენ, *კოდს* ეტყვიან. აჰწონავ ერთ ემესა, ათი, თერთმეტი რომაა, იმისი სათავოა სარწყავი“ (ჩაქვ.).

ტერმინი *კოდი* სულხან-საბასთან ასეა განმარტებული: „სწორი საწყავი ესე არს: ახლისა ლიტრითა ათი შთაიტოს, რომელ არს ორასისა თუხტისა წონა... ჭილაკი არს ნახევარ *კოდი*, რომელ არს ფოხა-

ლი-გუში არს ნახევარი ქილიკი, ტაგანი არს გუშის ნახევარი და კო-დიკი ტაგანას ნახევარი და მათხირი კოდიკის ნახევარი (ორბელიანი, 1949:169). კოდი მისი გამძლეობის გამო კეთდებოდა კატარის, ცაცხვის ხისაგან.

კოდი ქეგლ-ში ასეა განმარტებული:

კოდ-ი¹ (კოდისა) 1. ხის დიდი ჭურჭელი, გაკეთებული გულგამოთლილი მორისაგან. იხმარება ჩვეულებრივ მარცვლეულისა და ფქვილის, აგრეთვე რძის ნაწარმის შესანახად (ან კიდევ სითხის ჩასახმელად). კოდებს, სადღვებლებს, კასრებს სულ ცაცხვისაგან აკეთებენ (თ. რაზიკ.). დიდი კოდი... სავსე იყო სიმინდის ფქვილით (ნ. ლორთქ.). გიგოლამ მწყერი აიყვანა და, იქვე პატარა კოდი იდგა ხორბლიანი, იმაში ჩასვა (ვაჟა). სავსე კოდები მიდგია ყველიან-კარაქიანი (ვაჟა). კიდობნის გვერდით იდგა პატარა საფქვილე კოდი (ვაჟა). 2. მთლიანი ხის მოგრძო ჭურჭელი, წყაროსთან დადგმული საქონლის დასარწყულებლად. ეს წყარო კარგა მოზრდილია ასე, რომ კოდიც კი უდგა საქონლის წყლის სასმელად (ილია). 3. მარცვლეულის საწყაო სხვადასხვა ზომისა (ქვემო ქართლში – ოთხი ფუთი ანუ რვა ჩანახი, ზემო ქართლში – ხუთი ფუთი ანუ ათი ჩანახი, და ა. შ.). საუკეთესო მოსავლის დროსაც-კი ერთ კოდს ხორბალს მოჰყავს მხოლოდ ათ-თხუთმეტ კოდამდის (ი. გოგებ.). «ექვს აბაზად კოდი პური მოგცე და ისიც შენი უძირო ჩანახითა?!» (ნ. ლომ.). 4. გულამოღებული მორი, უძირო, რომელიც მიწიდან ამომდინარე წყაროშია შვეულად ჩადგმული წყლის შესაკრებად და გამოსადენად. ეგე – კოკა და ეგე – კოდო! (ანდაზა). ♦ კოდის წყარო წყარო, რომელსაც კოდი უდგას და წყალი შიგ გამოდის. ბახვა გამოხტებოდა სახლიდან. მიწიწინებდა კოდის წყაროზე პირდასაზანად (გ. წერეთ.). 5. კუთხ. (ქიზ.) ფუტკრის გეჯა, რომელსაც შვეულად დგამენ. ♦ კოდის წისქვილი პატარა წისქვილი, რომელსაც აბრუნებს კოდში დაგროვილი წყალი, – ბუჭულა წისქვილი. ♦ კოდის დედა კოდში ყველის ამომყვანი მთავარი ოსტატი მთაში. ♦ კოდის ცური კუთხ. (მთიულ.) იგივეა, რაც ცურკორმა. ♦ კოდის პური ძვ. მრევლის ყოველი მეკომურისაგან (ყოველწლიურად) გადასახდელი ხორბალი მღვდლისა და დიაკვნისათვის (ბატონყმობის დროს – მემამულისთვისაც). «კულუხს, კოდის პურს, გადასახადსა ერთი-ორადა მოგართმევთ შენა» (ილია). «ერიჰა! ყველა რომ მოჯამაგირედ დავიჭირო კოდის პურში და სამკვდროში, რაღა ვჰამო?!» [თქვა მღვდელმა] (მელან.). მარიამობის თვის ნახევარში დარჩენილი კოდის პურის ასაღებად მოვიდა ჩვენ სოფელში ის მღვდელი (შ. არაგვ.).

ერთ-ერთი მნიშვნელობა მეფუტკრეობას უკავშირდება: *კოდი* – „ფუტკრის გეჯა“ (ქეგლ), სკა.

ქართულ დიალექტურ კორპუსში *კოდი* *საწყაოს* აღნიშნავს: „მარანში სათესლე პური მაქ, ცხრა კოდი იქნებოდა“; „თითო ლეჩაქი ღირდა ერთი კოდი პური“ (შიგნი-კახური); „კოდი პურიო დამიფქვითო და ჩამამიტათო“ (გარეკახური); „აცხრილულ სიმინდ ჩაჰყრიან კოდში. კოდი 9 ოყას იწონის“ (ზემოაჭარული); „კოდი-ოთხი-ხუთი ბათმანი ჩავა, ვხმარობთ საფქვილედ“ (ქვემოიმერული); „ზოგი ისეთია, კოდი ჩადის, ზოგი პატარაა“ (რაჭული);

ქდვ-ს მიხედვით *კოდი* ხის ჭურჭელია: „*კოდი* საპურე, დიდი, სქელი ცაცხვის ხისაგან კეთდება“ (თიანური); „უწინ დიდ წყლებზე კოდი არ ყოფილა, ხოლოთ იყო ღელიებზე“ (გურ.); *კოდით* იზომება ოქროც: „ეილო და კოდი ოქრო აჩუქა, რომ სიკტილს გადამარჩინეო“ (ზემოაჭარული); „თითო-ოროლა კოდი პური მივეციტ ყველა ოჯახმა“ (სამცხურ-ჯავახური); ჯავახურში *კოდს* ფულის ჩასაწყობადაც იყენებდნენ: „ხენწიფეს უთხრა: შენი კოდი მომეცი, ფული ჩასაწყობი მაქო“; „კოდი საპურე კოდი, სქელი, სქელი ცაცხვის ხისაგან კეთდება“ (თიანური).

ქვემოიმერულში ერთი მნიშვნელობით *კოდი* არის *ხის დიდი ყუთი*, მეორე მნიშვნელობით კი *კოდი* წისქვილის ნაწილია: „კოდი ხის დიდი ყუთს უძახით, ამაში ვყრით აღებულ მინდს“; „კოდის წისქვილის ნაწილებია: კოდი, კოლოფი, მილი...“ (ქდვ).

ქიზიყურში *კოდი* წისქვილის ლარია, ანუ ხის პირამოდებული ჭურჭელი: „ლარი წისქვილი კოდი, წისქვილი ერთნაირია კოდისა და ჩარხისა“ (ქდვ).

როგორც ვხედავთ, ტერმინი *კოდი* საქართველოს თითქმის ყველა რეგიონშია დადასტურებული და სხვადასხვა საყოფაცხოვრებო-სამეურნეო საქმიანობისთვის გამოიყენება – უკავშირდება როგორც საწყაო ჭურჭელს, ასევე – წისქვილს. ტაოს ქართულშიც *კოდი* ძირითადად საწყაოს აღნიშნავს, მას იყენებენ მარცვლეულის ჩასაყრელად, ასაწონად, მაგრამ დადასტურებულია მისი განსხვავებული მნიშვნელობაც – ფუტკრის სახლი და მას *საფუტკრე კოდი* ეწოდება.

ტაოურში ტერმინი *ლაფერი/შეში კოვზი* ორი მნიშვნელობით გამოიყენება: 1. მეფუტკრეობასთანაა დადასტურებული – თაფლის ამოსაღები/თაფლის ჩასაწური; 2. წისქვილს უკავშირდება: *ლაფერაი* – ფქვილის ასაღები ხის ნიჩაბი. შდრ. *ლაფერა* – საღომე ნიჩაბი (საბა). შდრ. *ლაფერი//ლაფერაი* 1. ხის პატარა თხელი ნიჩაბი ლობიოს ამო-

საღესად: „ნენეჩემი ლაფერაით ლობიოს ამოლესავდა“. 2. საქსოვი და-ზგის ნაწილი (ფუტკარაძე, 1993:492); შდრ. კლარჯულში-ხის დიდი, ბრტყელი კოვზი, ქვაბიდან ღომის ამოსაღებად: „ლაფერაით იმე იჯებენ, სიმინდი ურევენ, ლობიო ურევენ“ (შირინსულიე).

ტაოური ლაფერაის მნიშვნელობა განსხვავებულია როგორც ჭოროხის აუზის, ისე ქართული ენის სხვა დიალექტების მნიშვნელობებისგან.

ტაოში განვითარებული ყოფილა მეთევზეობაც. შესაბამისად, რამდენიმე ტერმინი ამ დარგიდანაცაა დასახელებული:

(*მ*)კედი – ძაფი (ანკესზე მიბმული ძაფი). „ანკესზე კედი ვაბამთ, კედზე–ჯაყელი“ (ტაო, ელიასხევი). ტაოური *მკედის* მნიშვნელობა ემთხვევა განმარტებებს: მკედმოსხო ძაფი (საბა) და *მკედი*-ძაფი (ზ.სარჯველაძე); *მკედი* – ძაფი, ნართი (აბულაძე, 1973); *მკედი* – მოსხო ძაფი (როსტიაშვილი, 1978); ლეჩხუმურში *კედიძაფი* – წვრილად დაგრეხილი კანაფის ძაფი (ღლონტი, 1984); ზემო იმერულში – *მკელდი-მკედი* ძაფი (წერეთელი, 1938); ფერეიდნულში *კედი* იგივეა, რაც *საბელი*.

ანალოგიური მნიშვნელობისაა ეს ტერმინი „ჩვენებურების ქართულშიც“. შდრ. *კედი ძაფი* – მკედი ძაფი. „ესა *კედი* ძაფით გაკერე!“ (ფუტკარაძე, 1993:483). *კედი* არ დასტურდება შავშურსა და კლარჯულში.

რამდენიმე ტერმინი ტაოს მეთურქულე უზნებშია ჩაწერილი, ასეთია *კალტავარი* და განმარტებულია, როგორც *სათივე*.

მესაქონლეობა, მიწათმოქმედება ტაოს სოფლების მნიშვნელოვანი დარგებია. ამ დარგებიდან გამოვყოფთ რამდენიმე ტერმინს:

საყელო – ძროხის საბმელი: „მსხვილფეხა საქონელს „ტალი“ საგან“ ყელზე საყელო (საყოლო) ჰქონდა შებმული, რომელსაც ბაწრის გამოსაბმელი უკეთებოდა. იგი ზოგჯერ ხისა იყო, ბაგაზე საქონლის დასაბმელად გამოიყენებოდა. საქონლის საყელო ადრე ტყავისაგან მზადდებოდა, ამჟამად კი რკინისაგან-„ზენჯირისაგან“ (ჯაჭვისაგან) კეთდება“ (ტაო, 2020:297). შდრ. *ტალ-ი* (ტალისა) 1. მაგარი მინერალი; მასზე კვესის ჩამოკვრით ჩნდება ცეცხლი; იყენებდნენ ძველებური თოფის ჩახმახის ნაწილად (ქეგლ).

ქართულ დიალექტებში *საყელო* ყველგან ტანსაცმელს, სამოსს, მოსასხამს უკავშირდება: „ძალიან განიერი და განიერი *საყელო* ეკიდა, მორთული იყო ლენტებითა, წელამდი იყო, ბეჭებს ფარამდა, წამოსახამი იყო“ (ქართლი, ქდკ);

„საყელოთაც ბეწვი ჰქონდა მოკერებული. საყელოს სიგანე მხარს არ გადასცილდებოდა. თუ უნდოდათ, აიწევდნენ საყელოს და კისერზე წამაისხამდნენ ხოლმე. ორთავ მხარეს ჯიბეები უნდა ჰქონოდა ჩაჭრილი, ჯიბეებზედაც ბეწვი ჰქონდა მოკერებული. ხანშიშასულ თავადს ტალმასავით წამოსასხმელი ჰქონდა ხოლმე, ნაბადივით ყელში იკვრებოდა. მაუდის ან დრაფის ნაჭრისა უნდა ყოფილიყო, სარჩული ატლასისა ჰქონდა და ნუშის გულათ იყო დალიანდაგებული, საყელო ბეწვმოვლებული ჰქონდა“ (შიგნიკახური, ქდვ); რაჭულში ტერმინი *საყელო* უკავშირდება ნაგებობასაც: „ბოყვები უკეთდება კუთხეებშიც სიმაღლეზე. ი ბოყვებში ჩაისმის ფიცრები და აშენდება კედლები. შეიძლება კუთხის ბოყვები არ ექნეს და ფიცრებს ჩაეჭდობა ბოლოები და ი ნაჭდეურებით ჩაჯდება ერთი ფიცარი მეორეში ჯვარადინათ. ამ ნაჭდეურს *საყელოს* ეტყვიან. *საყელო* კაა ძალზე ჩაეჭდობა“ (ქდვ).

ტაოში დადასტურებული ტერმინია *მაჭა* – გუთნის ტარი: „გარებ დუბამთ, *მაჭა* დევჭირავთ“ (ტაო). შდრ. *მაჭი* (*მაჭისა*) (ქეგლ); შდრ. *მაჭი* – ერქვნის სახელური (საბა); ერქვან-ი (ერქვნისა) 1. ძვ. მიწის სახენელი იარაღი, – გუთანნი. ერთი კაცი უკუღმართად ვნახე, *ერქვანთ* ასხამს ფრთებსა (დ. გურამ.). 2. კუთხ. (თუშ. იმერ. გურ.) გუთნის სახელური, რომელზედაც გუთნისდედას ხელი უკიდია და მისი საშუალებით მართავს გუთანს (ქეგლ); შდრ. ჯილდის ნაწილი (გუთნის ნაწილი), სახელური, „ჯილდის *მაჭაზე* წამოცმული ვიყავ, საღამომდი ყანას ვხნევდი კაცივითა“ (ფუტკარაძე, თუფექი ქოი-ინეგ.). *მაჭა* შავშურსა და კლარჯულში არაა დადასტურებული.

საფორჩხელი – ფოცხი: „საფორჩხელი – ფოცხი და ესაც შეშიდამა“ (ქუაბაგი)–ასეა განმარტებული „ტაოში“ და იგულისხმება ხისგან (როგორც ტაოში უწოდებენ-შეშისაგან) გაკეთებული სამუშაო იარაღი. შდრ. „მოთიბული ბალახის მოსაგროვებელი თითებიანი იარაღი: „*ფოცხი* ახლა დემირისა (თურქ. Demir=რკინისა) გამოვდა, წინ-წინ ჩუენ ვაკეთებდით ხისას“ (ფუტკარაძე); შდრ. „ესე არს ხნულთ ასაოშავი თითებიანი კაბდოსავით; შდრ. *ფოცხი* (*ფოცხისა*) 1. სასოფლო-სამეურნეო იარაღი გრძელტარიანი, ხის ან რკინის კბილებიანი, ხელით სამუშაო; იხმარება ნათიბის, ბალახ-ბულახის, კლერტისა და მისთ. მოსაგროვებლად, მიწის გასაფხვიერებლად და მოსასწორებლად. თივას მოაგროვებენ ფიწლით, ორთითით და *ფოცხით*. სავარცხელივით აქვს კბილები, ხისაა, აქვს გრძელი ტარი («შინამრეწვ.»). შემდეგ თესვენ ღომსა და ფარცხვენ, მერე *ფოცხით* ბალახბულახს ამორებენ (ი. გოგებ.). 2. «ხნულთ ასაოშავი, თითებიანი, კაბდოსავით» (საბა). 3. კუთხ.

(თუმ.) შტო, ტოტი-ქეგლ. *საფორჩხელი* შავშურსა და კლარჯულში არაა დადასტურებული;

საწური – ტაოში ყველის გასაწური, დასაწურია: „ამოღებულ ყველს ამაზე დავდებდით, დეიწურვის, წყალიც გავა“ (ხევკი). შდრ. „საწური – შიგ რძეს ვწურავთ“ (იმერული, ქდკ); *ქვემოგურულში* საწური თაფლის გამოსაწური ჭურჭელია: „ახტიან იმას თავზე და გამეიღებენ რამკას, აფსებული რუმაა ფიჭა თაფლით, საწური აქვან სპეციალური“ (ქდკ). ტაოური საწურის მნიშვნელობა იმერულთანაა ახლოს და რძეს უკავშირდება, უფრო ზუსტად, ყველის საწური ჭურჭელია.

ზემოთ აღვნიშნეთ, რომ ტაოში მეფუტკრეობა ყოფილა განვითარებული, ტერმინები *სახილა* და *გამოხილვა* ამას უკავშირდება.

სახილა – სკაში ფიჭის მოსაჭრელი დანა (ქუაბაგი); თაფლის, სკის სახილავე დანა; შდრ. „როცა თაფლი გვინდა ამოვიღოთ, გავხსნით *სახილავს*, ამოვიღებთ ერთ მესამედ თაფლს და ორ ნაწილს კი დავტოვებთ“ (ქვემოიმერული, ქდკ).

გამოხილვა – ფულუროდან თაფლის გამოტანა (ტაო). შდრ. „უკანა სემთიდამ დამჩალი თაფლი მისია, ფუტკარისია; წინა სემთისა ჩუენია თაფლი. იმას *გამოვხილავთ*“; ამა შენ უნდა გახილო მაშინ, გადაატრიალეფ, გასხნავ, გამეიღეფ *გამოხილვისთინ*, შეხედო'ნა მესელა, გასხნა'ნა, რა იჯება, ის'და გასხნა, იმას ახლა იმ ძირზე, იმკე-ამკე გააწორავ, კარ გამეიღებ, შეუხედავ იმას, ლამაზათ იმას ახლა ჰელე საქმოფს, თუ თაფლი აქ თუ *ძაური*“ (ქდკ).

შესავალში აღვნიშნეთ, რომ მოხსენებისთვის ემპირიული მასალა მონოგრაფია „ტაოდანაა“ აღებული (2020 წ). საინტერესოა, რომ ტაოს ქართულში შემორჩენილი სიტყვა-ფორმები, რამდენიმე ტერმინი არ დასტურდება შავშურსა და კლარჯულში. კლარჯული მეტად მექართულედ ითვლება, ვიდრე ტაო. ტაოს ქართველთა მეტყველებაში დადასტურებული ტერმინების აღწერა, შედარება ქართული ენის სამხრული და სხვა კილოების მასალასთან ხელს შეუწყობს და გაამდიდრებს ქართული ენის სამხრული კილოების შესწავლის მიზნით ერთიანი სურათის შექმნას.

ქოროხის აუზის, და მათ შორის ტაოს, მექართულე სოფლების მეტყველების შესწავლა გრძელდება, რომლებიც უთუოდ აისახება ქართული ენის დიალექტური კორპუსის მასალებში.

ლიტერატურა

აბულაძე 1973 – ილია აბულაძე, ძველი ქართული ენის ლექსიკონი, თბილისი.

როსტიაშვილი 1978 – ნათელა როსტიაშვილი, ინგილოური ლექსიკონი, თბილისი.

სარჯველაძე 2001 – ძველი ქართული ენის სიტყვის კონა, თბილისი.

სულხან-საბა ორბელიანი. ლექსიკონი ქართული:

<http://www.nplg.gov.ge/gwdict/index.php?a=term&d=8&t=31341>

ტაო 2020, ბათუმი.

ფაღვა 2011 – მამია ფაღვა, „შავშეთი“, თბილისი.

ფუტკარაძე 1993 – შუმანა ფუტკარაძე, „ჩვენებურების ქართული“, წიგნი I, ბათუმი.

„ქართლის ცხოვრება“,

<https://www.georoyal.ge/?MTID=5&TID=64&id=513>

ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, <http://www.ena.ge/explanatory-online>

ქართული ენის დიალექტური კორპუსი, <http://www.corpora.co/#/dictionaries>

ღლონტი 1984 – ალექსანდრე ღლონტი, ქართულ კილო-თქმათა სიტყვის კონა, თბილისი.

Maia Kikvadze

Batumi Shota Rustaveli State University, Georgia

maia.kikvadze@bsu.edu.ge

Keywords: Dialect, Speech, Term, Meaning, Description, Comparison.

Some Terms from Tao Georgian

Summary

In the recent period, linguists pay special attention to the study of the speech of the descendants of emigrant Georgians living in Turkey.

The observation and analysis of the current speech of the Georgian population of the Chorokhi basin confirm that the lifestyle,

traditions, family and economic activities of the people and their vocabulary are an integral part of the unified Georgian cultural-historical space.

From the "countries" of the Chorokhi Basin (Imerkhevi, Klarjeti, Shavsheti, Tao), special attention is paid to Georgian Tao and the ancient word forms and terms preserved in it.

Cattle breeding, farming, beekeeping, fishing – these are the fields that the population of the Georgian villages of Tao have been following since time immemorial.

From the above-mentioned fields, several terms attract our attention:

Kodi, Kodi gurgvali – a bee house (the term *kodi* is used in Tao with different meanings, and one meaning is related to beekeeping);

Laferi/shisha kovzi – honey extractor/honey squeezer;

Mkedi – thread (thread tied to the loop);

Fkhai – a fish bone;

Kaltavari – a hayloft;

Sakhelo – cowhide;

Macha – a plough handle;

Saforchkheli – a type of broom;

Satsuri – cheese grater;

Sakhilai – a knife for taking out honey from the bee house;

gamokhilva – taking out honey from the bee house;

The study of the speech of the Georgian villages of the Chorokhi Basin continues. It is interesting to describe the terms found in the speech of Tao Georgians and to compare them with the materials of the Georgian language Samkhuri and other dialects. This is what determines the novelty and relevance of our research. At the same time, it will contribute to and enrich the creation of a unified picture for the purpose of studying the Georgian language.